N 73 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი

„სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №381 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №381 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 03/08/2015; 280120000.10.003.018767) შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 მუხლი:

„**მუხლი 1^1.** სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების (ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის – სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საყოფაცხოვრებო აბონენტების) დახმარების მიზნით, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი სარეიტინგო ქულა ტოლია ან არ აღემატება 70 000-ს (სოციალურად

დაუცველი ოჯახები) და რომელთა მოხმარება (30 კალენდარულ დღეში) არ აღემატება 301 კვტ/სთ-ს, 2016 წლის 1 მარტიდან ყოველთვიურად (30 კალენდარულ დღეში) გაიცეს სუბსიდია 1 კვტ/სთ-ზე 3.95064 თეთრის ოდენობით.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**